№ 10 14 Იანვარი, ქვირა 1866—1879 14 Იანვარი, ქვირა № 10

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ახოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როყორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა	— —	8 მან.
ექვსის თვისა	— — —	5 მან.
სამის თვისა	— — —	3 „
ერთის თვისა	— — —	1 „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ვენა, 11 Იანვარს. ავსტრიის რეიხსრატში (დეპუტატების პალატაში) იყო გაცხარებული ბაასი ბერლინის ტრაქტატის გამოისობით. ამ საგანზე მოლაპარაკების დროს დეპუტატმა ბოჭერმა სხვათა შორის სთქვა, უნდა ვეცადოთო, რომ რუსეთთან ომი ავიცდინოთო, თუ ამ სახელმწიფოსთან შეტაკება ჩვენ ერთ დროს უეჭველად მოგველისო. ამიტომაც, ორატორის ჰაზრით, ავსტრო-ვენგრია უნდა ცდილობდესო, რომ ბერმანიასთან მეგობრობა და კეთილი განწყობილება დაიცვასო.

პეტერბურღი, 12 Იანვარს. დღეს იყო ქორწინება დიდი ქნეინის ანასტასია მიხაილის ასულისა და მეკლენბურ-შვერინის ჰერცოგის ფრიდრიხისა. მთელი ქალაქი ალმებით იყო მოფენილი, სალამოს გაჩირაღდნებული. ახალ-დაქორწინებულები 23 იანვარს მიდიან.

პეტერბურღის ბირჟა, 12 იანვარს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— — 95	— 62
მეორე	— — — — — — 94	— 87
მესამესი	— — — — 94	— 87
მეოთხესი	— — — — 94	— 87
აღმოსავლეთის პირ.	— 92	— 50
აღმოსავლეთის მეორე	— 92	— 12
ოქრო, 1/2 იმპერიალი	— 8	— 52
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	— — „	— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— — 232	— „
მეორე სესხის	— — — 232	— 75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — 23	— 12 პენსი
ამსტერდამი	— — 117	— 25 ცენტი
ბერლინი	— — — 197	— 50 პჭენიგი
პარიჟი	— — — 244	— „ სანტიმი
ქავკასიის კერასინი	— 2	— 10 —

საქართველო

სოსიკო ორბელიანის სიკვდილის გამო

ამ ამბაემა ყოველს გონიერსა და თვალახელილს ქართველს გული მოუკლა. წყეულმა დაუნდობარმა სიკვდილმა წრიდან გამოგვტაცა საუკეთესო ქართველი, კაცური ღირსებით ნამდვილი თავადი, ნამდვილი კეთილ-შობილი, ქართველების გულისთვის თავდადებული, სულგრძელებით ჩვენი მომავალი დიდების მომასწავებელი.

ამას რომ ვამბობ, მე თვალ წინ მიდგას ქართველი ღენერალი, ვაჟკაცობის გულისთვის ღენერლად დაჯილდოებული, გაბრაზებული ხალხის წინ მდგობარე, გამწარებული დედაკაცებისაგან ხელ-

ფელტონი

მასლაათი

ქალაქის თავის არჩევანი. — ბოროტი ენის ჰაზრი კანდიდატებზედ. — ჩემი მეგობრის სიტყვა უფ. დ. ი. ყიფიანზე. — ვინ სჯობია? — წყნარად ჩავატარებთ კენჭს. — სენატორის ჯამაგირი და უფ. ნიკოლაძე. — დუქანი და მედუქნე. — „ობზორის“ „ხელის-მომწერი“ ვინ არის?

ქინაღამ სრულიად დაგვეკარგა იმედი! ქინაღამ უთავოდ დავრჩით!

მადლობა ღმერთს, ახლა ვხედავთ, რომ ჩვენ ღირსი ვყოფილვართ თავისა: ახლანდელი ჩვენი ქალაქის თავი აცხადებს, რომ ახალ-ამორჩეული ხმოვანები უნდა შეიკრიბნენ კვირას, ე. ი. დღეს, თორმეტ საათზე, ქალაქის ბამგეობის ზალაში, ფიცის მისაღებად და თანამდებობის პირების ამოსარჩევად... ამ „თანამდებობის პირებში“ ჩვენთვის ყველაზე უპირველესად ქალაქის თავი იგულისხმება.

მაშ ეგრე, დღეს, 14 იანვარს 1879 წელს, ჩვენ უნდა ავირჩიოთ ახალი თავი!

ამას წინათაც დავასახელეთ ჩვენ — თუ ვინ არიან კანდიდატები, ვინ ჰყავსთ სახეში თავის თანამდებობისათვის. არიან: თ. იაზონ თუმანოვი, მიხეილ ალახანოვი, ანტ. ყორღანი, ქ. ლომიზე და სხვანი.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ პირველი ამათგანს მაინცა-და-მაინც არ ჰსურს ქალაქის თაობაო, მაგრამ თუ მაგრად სთხოვენ, რა გაეწყობა, დათანხმდებაო; მეორეზედ ამბობენ, რომ ძალინ გულით ჰსურსო და აქეთ-იქით კიდეც „თავის ზომები მიიღოვო“, რომ გაიმარჯვოს მოწინააღმდეგებზედაო; მესამეზედ იმას ამბობენ, რასაც პირველზედ, ე. ი. თუ შეეხვეწებიან, თავის პოდრიადებს მიატოვებს, მსხვერპლად შესწირავს თავის თავს ქალაქსაო.. მეოთხეზე კიდევ ამბობენ, რომ დიდის სიამოვნებით დათანხმდება, ოღონდ კი ამოირჩიონო.

ამათ გარდა არის კიდევ ერთი კანდიდატი, უფ. დ. ი. ყიფიანი — ახლანდელი თავი ქალაქისა, რომლის შესახებაც ჩემმა მეგობარმა (რომელიც, როგორც ამას წინათ მოგახსენეთ, მხოლოდ ჩემს ოცნებაში არსებობს) შემდეგი სიტყვები მითხრა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ამაზე უკეთესს თავს ქალაქი ვერ იშოვის. მართალია, იმას ახლა ბევრი ემდურიან; მაგრამ რატომ? იმიტომ რომ ფეხები არ უვარგი... რა ჰქმნას მარტო თავმა, თუ სხვა ნაწილი სხეულისა იმას არ ემსახურება, თუ მთელი აგებულობა უხეიროა, რიგიანად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას? ამას გარდა უფ. დ. ყიფიანს ისეთს დროს შეხვდა ქალაქის თაობა, როდესაც ანგელოზიც რომ ჩამოეყვანათ ზეციდამ, ისიც კი ვერ დაიმსახურებდა საზოგადო თანაგრძნობასა და მადლობას. ომიანობის დრო იყო, საზოგადო გაჭირების, სიღარიბის, სიძვირის; ქალაქის სიქმეები ადრინდელი გამგეობისაგან სრულებით გაფუჭებული, არეულ-დარეული, უგზო-უკვლოდ წაყვანილი და სხვ. ამისთანა დროს ვინ რას გაარიგებდა? დ. ყიფიანი პატიოსანი, მხნე, ჭკვიანი კაცია. მიეცით იმას კარგი ამხანაგები, კარგი წევრნი ბამგეობისა,

შეხებული; ნაცემი და ტანჯული გმირი უძახის გაგულისებულს თავის მხედრობას, რომელიც მზათ არის ტყვიებით და შუბებით დაგლიჯოს აღელვებული ხალხის ურდო:

„—ნუ ესვრით, ხალხი მართალია, უბრალოა!“

დიდება შენს გმირობას, შენს თავგანწირულებას, ქართველო და პირველო თავადო! მაგ შენმა ქველ-მოქმედებამ, შენმა სულგრძელობამ გამოისყიდა შენი წოდების ათასი წლის უსამართლოება და მისგან დაღვრილი ხალხის სისხლი. მაგ შენმა მოქმედებამ ცხადათ დაგვანახა, რომ ჩვენს საქართველოს მაღალ წოდებას სრულად შერჩენია უპირველესი ღირსება იმ ზოგიერთებისა, რომელნიც ყოველს უბედურების ჟამს საქართველოს ერს წინ უდგნენ და შემოსეულს მტერს პირველ ისინი გადმოუშლიდენ თავის გმირულს მკერდს დასაკრავათ! მაგ შენმა მოქმედებამ ცხადათ გვაჩვენა, რომ ამდენის ხნის დამცრობაში და გადაგვარებამი ქართველს თავად-აზნაურობას კიდევ შერჩენია ის ძარღვი, რომლის წყალობით ეს პაწაწა ერი ორი ათასი წელიწადი იბრძოდა გარს-შემოხვეულ ათას ნაირ მტერთან; მაგრამ ვერც ერთმა ხელი ვერ დარია, რადგან თავ-გამეტება და მემსხვერპლეობა ბევრი იყო.

სოსიკო ორბელიანი ალაზნის ველზე გაბრაზებულს დაბალს ხალხს წარუდგა წინ და თავი გადასდვა, რომ მოთმინებიდან გამოსულს ხალხს იმაზე ამოეყარა სხვისი ჯავრი და დამშვიღებულ იყო...

მაშინ იყო ისეთი წამი, როცა ერთი თოფის გავარდნა, ერთი ხმლის მოქნევა იმის ჯარისა ჩვენს ძახეთის ხალხს მთიულებს მიამხრობდა და სულ ამოგვიჟლეტდა. ქვეყნის დაქცევას მან არჩია თავის საკუთარი სიკვდილი.

„—ღენერალო, გვიბრძანეთ ლუკმალუკმად ავკეპოთ ეს მხეცებიო!“—ეუბნება მას გაბრაზებული ხიშტებიანი ჯარი.

„—არა, შეუძლებელია ხალხზე იარაღი ხმარება, სანამ მე კიდევ სული მიდგას! ჩააგეთ გაშიშვლებული ხლძები. დაე, ხალხმა ჟინი ჩემზე მოიკლას!“

აი, ამ დროის მაგალითი დიმიტრი თავდადებულისა.

სოსიკო ორბელიანმა ალაზნის ველზე, მთელ საქართველოს თავად-აზნაურობის სამაგალითოდ, დაბალს, მშრომელს, მაგრამ შეწუხებულს და შეწუხებით გაბრაზებულს ხალხს ქუდი მოუხადა, ძმურად ხელი მისცა. რაო?—„საქართველოს თავად-აზნაურობავ, შენ ამ ხალხს გარეშე შველა არა გაქვსო. დროა შეურიგდე და შეირიგო, დროა გახდე უანგაროთ იმის მეგობარი, იმისი ძმა, იმის გულ-წრფელი თანაშემწე, რომ იმანაც გული მოგანდოს, მხარი-მხარს მოგიყენოს, ჭირში და ლხინში ერთად თავის გასატანათ ყოველ ქარ-ცეცხლისაგან ერთად თავის სახსნელად!.“

ჩვენს თავად-აზნაურობას დიდი საცოდაობა აწევს ზურგზე, ხალხის ბევრი სისხლი აქვს დაღვრილი, ბევრი იმის ოფლი აქვს შეჭმული. მოვიგონოთ ჩვენი ძველი ისტორია, რვა საუკუნოს განმავალობაში გვარების ბრძოლა საქართველოში, როცა ათაბაგები ქართლის ერისთავებს ებრძოდენ, როცა ქანის ერისთავები მოურავს საკაძეს სდევნიდენ, როცა ორბელიანები ზემო-ქართლის თავადობას კვალში უდგენ და თუ ერთს, თუ მეორეს შემოჰყავდათ გარეშე მტრები: სპარსები, არაბები, მონგოლები, თურქები, ბერძნები და ბევრი სხვანი, ქვეყნის ასაკლებად, ოღონდ კი საკუთრად იმათ მატერიალური სარგებლობა მომატებოდათ, ოღონდ კი გარეშე მტრის შემწეობით თავის შინაური მტრები აელაგმათ...

ამ ერთმანეთის ცემა-ჟლეტაში ისრისებოდა და ცეცხლზე ედებოდა ქვეყნის მარჩენი, მშრომელი ხალხი; ამათ არ ჰქონდა არც კოშკები, არც გალავნიანი მონასტრები, არც კლდეში გამოქვაბულები, არც ციხე-გალავნები. მაგნები სულ თავად-აზნაურობისა და მეფის იყო. ერთი რომელიმე წარჩინებული გვარი რომ ან იკონიის სულთანს, ან ადირბეჯანის თათრის ურდოებს შემოიყვანდა თავის მოპირდაპირის მთავრის და თავადების ასაკლებათ, მეორე პარტია თავის აზნაურებით და ნათესავებით მაშინვე ციხე-გალავნებს და გამოქვაბულებს მიაშუ-

---

მაგრამ ყველაზედ უწინ თვითონ ხმოვანებმა შეასრულონ რიგიანად თავის მოვალეობა, და თუ ქალაქის საქმეები, ამ კაცის ხელში, კარგად არ წავიდეს, ყელი გამომჭერით..“

ეს ჩემი ოცნებითი მეგობარი ისეთის გულ-წრფელობით, ისეთის გრძნობით ლაპარაკობდა, რომ მართალი გითხრათ, მეც დამარწმუნა და ამიტომ ჩემი კანდიდატი დღეს არის ისევ ქალაქის ძველი თავი უფ. დიმიტრი იკანეს ძე ყიფიანი..

ჩვენ სომეხ-მოძმეს „მშაკს“ კი თავის კანდიდატი, სულ სხვა კანდიდატი ჰყავს: ძავკასიის სამეურნეო საზოგადოების სეკრეტარი ივანე სტეფანეს ძე ხატისოვი. ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ უფ. ხატისოვს და ამიტომ იმაზე არაფრის თქმა, არც ავისა და არც კარგისა, არ შეგვიძლიან, გარდა იმისა, რაც სთქვა „თფილისის მოამბემ“, ე. ი. მეურნეობის ცოდნა საკმაო არ არის ქალაქის თავის თანამდებობის რიგიანად ასრულებისათვის...

რაც უნდა იყოს და ვინც უნდა ამოარჩიონ თავად, ჩვენ წინათვე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს ამორჩევა წყნარად, შეუშფოთებლად მოხდება. თუ ქუთაისში, სადაც, უბრალო უეზდის მარშლის ამორჩევის დროს, მუდამ საშინელი აყალ-მაყალი, ჩხუბი, დავი-დარაბა და ხანდისხან ხრმლის ტრიალიც იციან, თუ იქ ასე წყნარად იყო ქალაქის თავის ამორჩევა, თფილისში ხო, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო მშვიდობიანად და უშფოთველად კენჭის-ყრის გათავებას უნდა მოველოდეთ.

ამაში გვარწმუნებს ჩვენ ის გარემოებაც, რომ ახალი ხმოვანები სულ წყნარი, მშვიდობიანი ხალხია; იმათგან წყლის ამღვრევას არ უნდა მოველოდეთ..

ერთის სიტყვით, ჩვენი ცხოვრება ამ ჟამად მდორე წყალივით მიმდინარეობს, თუმცა შესაშფოთებელი მოვლენანი კი არიან ახლა ჩვენს ქალაქში.

აი მაგალითად ბრიბოედოვის იუბილეი, რომელიც ჩვენმა ქალაქმა ასეთის დიდებით და იმბით უნდა ადღესასწაულოს ამ თვის 30 იანვარს... მაგრამ ამაზე ლაპარაკს შემდეგშიაც მოვასწრობთ...

ამას გარდა ამ ახლო ხანში იყო კიდევ ერთი მოვლენა, რომელმაც საზოგადოებისაგან თითქმის შეუმჩნეველად ჩაიარა. ეს მოვლენა გახლდათ უფ. ნ. ნიკოლაძის საახალწლო ფელტონი, ანუ უკეთ საახალწლო აღსარება, რომელშიაც იმან აღიარა—თუ რა ღირსებებით არის ის შემკული, თუ როგორ ადვილად შეეძლო იმას სენატორის ჯამაგირის მიღება, რომ სხვა რომელსამე გაზეთში ეწერა, მაგრამ იმდენათ უანგაროა, რომ საზოგადოების გულისათვის თავის საკუთარი გაზეთი გამოსცა და სხვ. და სხვ.

სენატორის ჯამაგირი შესწირა კაცმა თქვენი გულისათვის და თქვენ ამას არაფრად აფასებთ?! ძაცმა, ამისთანა მატერიალურ დროში ამდენი უანგაროობა გამოიჩინა, ამდენი მსხვერპლი მოიტანა, და თქვენ თაყვანს არა სცემთ იმას, პირქვე არ დაემხვით იმის წინაშე!? მოდით და ნუ იტყვით ამის შემდეგ, რომ საზოგადოებამ კაცის ღირსების დაფასება და დაჯილდოება იცისო!!

მაგრამ იგივე ჩემი მეგობარი, რომელსაც ხანდისხან ბოროტი ენა აქვს, მარწმუნებს, რომ საახალწლოთ ამისთანა ფელტონის დაწერა სრულებით უანგაროობას არ ნიშნავსო, ამ შემთხვევაში უფ. ნიკოლაძე იმ მედუქნეს ჰგავსო, (თავის გაზეთს ის მაინც დუქანს ეძახისო!), რომელიც ქუჩის პირზე გამოდგება და გამვლელ-გამომვლელს ჩაავლებს კალთაში ხელს და ეუბნება:

— აქ შემობრძანდით! ჩინებული საქონელი მაქვს! ახალი მაღაზია! წაგების მეტი არაფერი სარგებლობა არა მაქვს ვაჭრობისაგან! მარტო საზოგადოების გულისთვის ვზრუნავ! შემობრძანდით! შემობრძანდით! ნახეთ ჩვენი საქონელი!..

ამით გავათავებ... მინდოდა ამ დასტალულში კიდევ ორიოდე სიტყვა მეთქვა უ. ნ. ნიკოლაძის კალმის უკანასკნელ მოღვაწეობაზედ, მინდოდა მეთქვა, თუ როგორ მონახა იმან ერთი თავის გაზეთის ხელის-მომწერელი, რომელიც განსაკუთრებით იმისთვის არის მოწვეული, რომ ის აქოს და ადიდოს „ობზორში“, (ჩემი ბოროტი მეგობარი მარწმუნებს, რომ ეს ხელის-მომწერელი, რომელიც ასე აქებს-ადიდებს „ობზორის“ რედაქტორს უფ. ნ. ნიკოლაძეს, არისო იგივე „ობზორის“ რედაქტორი უფ. ნ. ნიკოლაძეო!), მინდოდა სხვა რამეც კიდევ მეთქვა, მაგრამ თქვენ დღეს ჩემთვის არა გცალიანთ: ქალაქის თავის ამორჩევაზე წახვალთ საყურებელად...

სოლოლაკელი

რებდა და იქ შეიხიზნებოდენ.

ვინ რჩებოდა თავ-შეუფარავი? ხალხი, ქვეყნის მარჩენელი ხალხი, თავად აზნაურობის მკვებავი ხალხი. მოწვეული თათრის ურდოები დაბინავდებოდნენ ხალხის ქოხებში, დაეპატრონებოდნენ ხალხის ჭირნახულს და გასვრიდენ ხალხის სახლობას. მოედებოდა ცეცხლი სოფლებს, ჟივილ-კივილით გამორბოდენ თავის ცეცხლ-წაკიდებულ ქოხებიდგან კაცი, ქალი, ძუძუ-მწოვარი, წინ წყალი ჰქონდათ მათ გასასვლელი, უკან მოსდევდა თურქის ისრები.

ვინ იყო მფარველი?

სულ ეს უბედურება თავად-აზნაურობის და ერისთვების წვრილმან თავმოყვარეობისაბან მოსდიოდა ხალხს.

ვინ იყო გამკითხავი? ზოგჯერ გაძლიერებული მეფე, ზოგჯერ გულ-შემატკივარი სამღვდელოება, ზოგჯერ თითო-ოროლა თავად-აზნაურობაშივე გამორჩეული გმირები; მაგრამ მუდამ კი ვერც ერთი ვერ შველოდა იმას ანგარების მეძიებელ თავად-აზნაურობისაგან.

ამ წვა-და-დაგვაში იყო საქართველოს მშრომელი ხალხი მთელი თავის ისტორიის მომდინარეობაში.

დადგა მეცხრამეტე საუკუნე.

„ბმირული სული მოიხრჩო სისხლში,
„ან ვინც გადარჩენ, სულ დაძაბუნდენ.
„მათ ზნე ეცვალათ ნიადაგ შიშში,
„ბმირთ შთამოება მონებათ გახდენ.
„დღე ამ გვარი ჩვენი ცხოვრება,
„ერი ცეცხალი ლეშათ ქცეულა.
„ვინც მას მოსტაცა თავისუფლება
„ეს მის მსახურად გაკეთებულა....

ჩვენში აიწყო ბიუროკრატიული პერიოდი, კანცელარიული საქმის წარმოება. ჩინოვნიკობის ბადე გადაეცვა თავს მთელს საქართველოს. ჩინოვნიკებათ გახდენ გაღარიბებული მოუძლურებული ძველი თავად-აზნაურობის ჩამომავლობა.

ამათ დაანახვეს ახალს, ჯერ ქვეყნის ამბის და გარემოების გაუცნობელს, მთავრობას ბატონ-ყმობითი დამოკიდებულება ისეთის თვალით, თითქოს მართლაც გლეხობა თავად-აზნაურის საკუთრება ყოფილიყოს სულითაც და ხორცითაც. ამ სახით ძველი საკუთრების მექონი გლეხობა, თავისუფალი კაცი, თავისუფლად თავის მოვალეობის ამსრულებელი ადამიანი ტყვეთ გახადეს, თითქოს იმას არც საკუთრება ქონოდეს, არც თავის ნება.

ახი იყო თუ არა ხალხი გაბრაზებულიყო თავის ბატონის შვილებზე, ჩინოვნიკებზე?...

ბოლოს გველირსა ბატონ-ყმობის დაზავებაც; გლეხს დაუბრუნდა პირადი თავისუფლება; მაგრამ აქაც ზნე წამხდარმა თავად-აზნაურობის მოდგმამ ისე წაიყვანა კანცელარიებში გლეხების განთავისუფლების საქმე, რომ მაინც ახალი მონაობის ბორკილი არ შესხნია ხალხს. ხალხი თუმცა განთავისუფლდა, მაგრამ ერთი-ორად დაბეგრდა და ამას გარდა მიწის საკუთრებაც დაეკარგა.

იმერეთში ერთს მოხუცებულს ჭკუიანს აზნაურს ჰკითხეს:

— ბანა შეიძლება გლეხების უმიწაწყლოთ განთავისუფლებაო?

— ბლეხმა რომ თავისუფლება იშოვნოს, ხის წვეროზედაც დარჩებაო! შთხრა იმან.

ასე გულ-ქვავად ექცეოდა ჩვენი თავად-აზნაურობა გლეხობას.

ახი იყო თუ არა, მდაბალი მშრომელი ერი თავად-აზნაურობაზე გაბრაზებულიყო?...

ალმოსავლეთის ომი გაიმართა; ხალხს დიდი გაჭირება მიადგა. როგორ იქცეოდენ ჩვენი თავად-აზნაურობის შვილები უეზდებში, სოფლებში ჩინოვნიკებათ დაყენებული? უეზდის უფროსებიდან დაწყებული მამასახლისამდის ყველანი ხალხის ხელში შემჩერენი გახდენ და როცა იძის შვილები საწყალი მილიციონერები ბრძოლის ველზე იხოცებოდენ, თავად-აზნაური ჩინოვნიკობა კი ჩაერია ხალხს და ქრთამებით ტყავს აძრობდა.

ახი იყო თუ არა ხალხი მოთმინებისაგან გამოსულიყო?...

მართლაც აგორდა ხალხი, როგორც ზღვა, სიმწრისგან პირზე ქაფი მოიგდო და ჯავრისაგან დორბლს ჰყრიდა პირიდან.

აი, ამ დროს იმას დაუხვდა წინ სოსიკო ორბელიანი და გმირულის გულსიმაგრით შესძახა:

„— დამშვიდდით, ძმებო, ცუდი დროა, ძალა არ გამოიყვანოთ მოთმინებისაგან, თორემ თქვენც გაიჟლიტებით და სულჩადგმული ქვეყანაც გაგვესრისებაო“!

„— დაჰკარით მაგას! სულ ეგ და მაგის მოგვარეა ჩვენი უსამართლობის მიზეზი“!—წამოიძახა თურმე ერთმა გამეხებულმა დედაკაცმა. ჯარმა იძრო ხმალი და თოფი თავის ღენერლის დასაცველად; მაგრამ მამაცმა სოსიკო ორბელიანმა თავი ხალხს მისცა მოსაკლავათ და ჯარს იარაღი ჩააგებინა!...

ნუ დარჩენილა ობლათ ეგ შენი დიდი მაგალითი, ქართველო გმირო! საუკუნოთ იყოს შენი ხსენება...

ბ. წერეთელი

დღიური

*** ბუშინ, შაბათს, სიონის საბოროში ეგზარხოსმა გადაიხადა მოლევნა დიდი ძნეინა ანასტასია მიხაილის ასულის დაქორწინების გამო. ამავე მიზეზით ქალაქში შუა-დღეზე ას-ერთი ზარბაზანი გაისროლეს.

*** ის გარემოება, რომ დღეს, კვირას, ყველა ახალი ხმოვანები არიან მოწვეულნი ქალაქის თავის ამოსარჩევლად, გვიმტკიცებს, რომ მთავრობას არ შეუწყნარებია ზოგიერთი ამომრჩევლების საჩივარი იმის თაობაზედ, რომ მესამე რაზრიადის კენჭის-ყრა უკანონოთ მოხდაო, რადგან ცალკე უწყებით არ გვაცნობეს და ყველანი ვერ დავესწარითო.

*** ყველა მხრიდამ კარგი ამბები გვესმის ჩვენი სამასწავლებლო მაზრის ახალს მზრუნველზედ. (პოპეჩიტელზედ) ამბობენ, ძალიან გულ-მხურვალეთ და ერთგულად მოჰკიდა თავის თანამდებობას ხელიო, ცდილობსო ყველაფერი გაიგოს, გამოიკვლიოს და რაც შეიძლება სწორს გზაზე დააყენოსო.

ამბობენ აგრეთვე, რომ თფილისისა და ქუთაისის სახალხო შკოლების დირექტორებს დარიგება მისცაო, რომ ამ შკოლებში სწავლა უეჭველად სამშობლო ენაზედ უნდა იყოსო და ეცადეთო, რომ რიგიანი მასწავლებლები მოსძებნოთო.

ბაზ. „კავკაზი“ გვაცნობებძ, რომ ახალმა პოპეჩიტელმა დაიწყო გაცნობა თფილისის ძლასსიკურ ბიმნაზიისა და საქალებო გიმნაზიისაო. უეჭველიაო, ამბობს ეს გაზეთი, რომ უფ. პოპეჩიტელი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე თფილისის კერძო სასწავლებლებს, რომელთაც ამ გვარი ყურადღება ეჭირებათ როგორც შინაგანი აგრეთვე გარეგანი მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ერთი აქაური სასწავლებლის სამმართველოის წევრი—მღ. ი-ძე, რომელიც სასულიერო წოდებისაგან არის ამ თანამდებობაზედ დაყენებული, თითქმის მუდამ სამმართველოის სხდომაზედ მობრძანდებაო „კარგათ თაყვან-ნაცემი ბახუსისა“ და, როგორც ამ გვარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის გარემოება მოგეხსენებათ, ეს სულიერი მამა ისეთს უადგილო რამეებზედ დაიწყებს ლაპარაკს და ისეთს უწესოებას ახდენსო, რომ თავს-მჯდომარე იძულებული არისო, რომ შეწყვიტოს სხდომაო.

ამ კურხეული პირისაგან თვით მასწავლებლებიც ერთობ შეწუხებული არიან თურმე, რადგან მიდის სასწავლებელში, ყვირის, ხმაურობს და ზოგ მასწავლებელს უადგილო შენიშვნას აძლევს...

*** ჩვენ გვიამბეს შემდეგი შემთხვევა, რომელიც მომხდარა ამ დღეებში:

ძუკიაში, ვარანცოვის ქუჩაზე, ერთს სამიკიტნოში შესულა მოხუცებული ი. ა—ვი რაღაცას საყიდლად. იქ დახდომია იმას მოქეიფე ხალხი, რომელთაც, როგორც ჩვენებური ადათი მოგეხსენებათ, მიუპატიჟნიათ და ორიოდე სტაქანი ღვინო მიუწოდებიათ. ამ დროს საიდამაც ყოფილა გამოჩენილა ძველი მტერი ამ მოხუცებულისა კარგა შეძლებული ვაჭარი ბ—დალ უ—გოვი, რომელსაც აუტეხია იმასთან ჩხუბი, მივარდნია თავზე კბილებით, უკბენია და ერთი კარგი დიდი ნაჭერი ხორცის კანი ამოუგლეჯია!

ამ საქმის თაობაზე საჩივარი დაწყებულა და გამოძიებაც არის დანიშნულიო. ნაკბენი თურმე ახლაც ავათ არის, ლოგინად; ძვლამდინ აქვს ხორცი ამოგლეჯილიო და გაუმძიმდა ავათმყობაო.

*** ბასული ქრისტეშობის თვის 26-ს როგორც გაზეთის „კავკაზის“ თემირხან-შურელი კოროესპონდენტი იწერება, ამ ქალაქში უკურთხებიათ ძეგლი მიცვალებულის ღენ.-ადიუტ. თ. მოსე ზაქარიას ძის არღუთინსკი-დოლგორუკისა.

შეცდომა. ბუშინდელს „დროების“ ნომერში ასოს-ამომწყობის შეცდომით, დაბეჭდილი იყო სიღნაღიდამ ტელეგრამმა, რომელიც რედაქციას თითქო „ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსაგან“ ჰქონოდეს მიღებული; ეს ტელეგრამმა, ხსენებული სააგენტოსაგან კი არა, ჩვენ ჩვენი საკუთარის კოორესპონდენტისაგან მივიღეთ.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

„პოლიტიკურს ქოორესპონდენციაში“ იწერებიან 4 იანვარს სტამბოლიდამ, რომ ბურგასში მოვიდა რუსის რამდენიმე ხომალდი, რომელზედაც უნდა გადაიყვანონ ჯარები ოდესსაში, ნიკოლაევში და სევასტოპოლშიო. ამ მოკლე ხანში, ამავე მიზნით, კიდევ ახალ ხომალდებს მოელიანო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, რადგან რუსეთი დათანხმდა, რომ მხოლოთ ასი მილიონი მანეთი (ვერცხლის ფული) გარდაახდევინოს ომის ხარჯად ოსმალეთს, ამის გამო ახლა სრული იმედი არის, რომ ამ ორ სახელმწიფოს შუა სრული და დაბოლოებითი მორიგება მოხდება.

საფრანგეთი

მოგვყავს შემოკლებით ის სამინისტროს დეკლარაცია, რომელიც წაუკითხავთ 4 იანვარს საფრანგეთის ნაციონალურ ქრებაში და სენატში:

„მმართებლობის ჰაზრით, 5 იანვრის არჩევანი ამტკიცებს, რომ ხალხს მოსწონს იმის პოლიტიკა და მოქმედება ამავე გზას დავადგებით ჩვენ შემდეგშიაც.

„ჩვენს ქვეყანას სრულიად არავითარი განზრახვა არა აქვს, რომ შეაშფოთოს ქვეყანა. საფრანგეთს ჰსურს, რომ ის იყოს თავის თავის ბატონი, რომ დაცული იყოს მშვიდობიანობა და არავინ შეეხოს იმის ღირსებას.

„ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა ბერლინის ქონგრესში და ვეცდებით, რომ იმის გარდაწყვეტილება ბეჯითად იყვეს აღსრულებული.

„საფრანგეთის რესპუბლიკასა და ყველა უცხო სახელმწიფოებს შუა სრული თანხმობა და კეთილი განწყობილება ჰსუფევს.

„14 დეკემბრიდამ 1877 წლისა რესპუბლიკის პრეზიდენტმა აპატია 1,542 დამნაშავეს, რომელთაც 1871 წელს პარიჟის ქომუნაში ძიიღეს მონაწილეობა; ახლა „შეწყნარების ქომისიამ“ ამოარჩია კიდევ 2,225 პირი, რომელთაც ეგრეთვე სრული პატიობა უნდა მიენიჭოს.

„მმართებლობა შეუბრალებელად მოეპყრობა ისეთს ჩინოვნიკებს, რომელნიც რითიმე გამოაცხადებენ რესპუბლიკის დაწესებაების მტერობას...“

ეს დეკლარაცია სენატის მარცხენა მხარეს (რესპუბლიკელებს) აღტაცებით და ტაშის-კვრით მიუღიათ; მაგრამ ნაციონალურ ქრებაში კი კარგი შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია.

გერმანია

პეტერბურღში მისულა ვენიდამ 2 იანვარს შემდეგი დეპეშა:

„ბერმანიის მმართებლობამწინადადება მისცა ავსტრიას, რომ ერთათ მოილაპარაკონ და დაადგინონ სოციალისტების წინააღმდეგი კანონები და ზომები. ავსტრიამ უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, რადგან ჩვენი კანონები საკმარისი არიანო სოციალისტებისა და ანარხიისაგან ჩვენი სახელმწიფოს დასაცველადაო.

„ამ გვარივე უარი შეუთვალა ავსტრიამ ბერმანიას აგრეთვე მეორე წინადადებაზედ, რომ ავსტრიის გაზეთებს ურჩიოსო, რომ თ. ბისმარკს ნუ მიაყენებენ ბეჭდვით შეურაცხყოფასაო.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის თავი უმორჩილესათ სთხოვს მომავალი ოთხი წლისათვის (1879—1882) ახლად-ამორჩეულ ხმოვანებს, რათა მოგრძანდნენ ქალაქის რჩევის სადგომში ქვირას, 14 იანვარს, შუა დღეზედ, ფიცის მისაღებათა და თანამდებობის პირების ამოსარჩევად.

თფილისის პოლიციმეისტრისაგან

მე შემინიშნავს, რომ ვაჭრები და მოქალაქენი თავიანთ მაღაზიებიდამ, ეზოებიდამ, დუქნებიდამ და სახლებიდამ ისვრიან ხოლმე ნაგავს ქუჩაზე, რისგამოც ანაგვიანებენ ამ ქუჩებსა და ტროტუარებს.

რადგან ამ გვარი ქცევა მედუქნეებისა და სახლის პატრონებისა კანონის წინააღმდეგია და მავნებელი მცხოვრებლებისათვის, ამის გამო ვსთხოვ ამათ, რომ შემდეგში ნუ ჩაიდენენ ამ უწესოებასა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, დევნილი იქნება კანონით და სასამართლოში გაგზავნილი დასასჯელად. თფილისი, 22 დეკემბერი 1878 წ.

უფროსი პოლიციმეისტერი
პოდპოლკოვნიკი მერკლინგი

ლექსები
„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ქოსტავას დუქანში.

რქ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი	9	21	5	18				
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
ყვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	5[illegible]			6	75	3	75
სამტრედია	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	50			9	75	5	42
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია	11	5			2	6	1	14
რიონი	12	13			3		1	69
ყვირილა	1	18	ღამე.		3	9[illegible]	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ქახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი)	8

მაზანდა	მან	კაპ.
თფილისი, 12 იანვარს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	70
ფქვილი წითელი	1	30
ქერი ფუთი	1	25
ბამბა ერევნისა, ფუთი	7	30
— ამერიკისა, ფუთი	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი	11	—
მატყლი თუშური ფუთი	7	50
— თარაქამისა ფუთი	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი, ფუთი	5	30
ქონის სანთელი ფუთი	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	13	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
— ცხვრისა, ლიტრა	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი	7	80
— ფხვნილი ფუთი	6	40
ყავა გრგვალი, გირვ.	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	60
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	8

თფილისის სამკურნალო:

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ოლიშაბათს: ვერმიშევი და ბარელევიჩი — შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი — შინაგ. ა. ბ ხუტოვი — საბებიო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგ., ქიუჩარიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი — შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 Генваря 1879 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი